პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2022 წლის __ აპრილი

ქ. წყალტუბო

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს № 148 (№ გ-49.49213631) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 17 აპრილის N48-482211794 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2020 წლის 1 მაისს ხელმოწერილი კონტრაქტის „2014- 2020 წლების შავი ზღვის აუზის ქვეყნების" პროგრამის ფარგლებში პროექტის „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის" განხორციელებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული არის 8 პირი - კოორდინატორი - 1, კოორდინატორის ასისტენტი - 1, ტექნიკური მენეჯერი - 1, PR მენეჯერი - 1, საფინანსო მენეჯერი - 1, ოფისის მენეჯერი -1, სპეციალისტი - 2, რომელთა მიღების ვადა შეთანხმებულია 2022 წლის 30 აპრილის ჩათვლით. იქედან გამომდინარე, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი რიგი ღონისძიებები ვერ ჩატარდა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე პარტნიორ ქვეყნებში არსებული მძიმე ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა და არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერიამ დონორ ორგანიზაციას მიმართა თხოვნით და შეთანხმდნენ პროექტის მოქმედის ვადის გაგრძელების თაობაზე 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით. 2014-2020 წლების შავი ზღვის აუზის ქვეყნების" პროგრამის ფარგლებში პროექტის „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის" განხორციელებისათვის აუცილებელია 6 პირი - 1 კოორდინატორი, 1 კოორდინატორის ასისტენტი, 1 ტექნიკური მენეჯერი, 1 PR მენეჯერი, 1 საფინანსო მენეჯერი და 1 ოფისის მენეჯერი , შესაბამისად, მერს სურს ყველა მათგანთან შრომითი ხელშეკრულების გაგრძელება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 25–ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ '' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს № 148 (№ გ-49.49213631) განკარგულებაში და ამ განკარგულების პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში – 1 მერის მძღოლის, 1 მძღოლის, 5 დამლაგებლის, 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 3 კონსულტანტის, 1 მერის მდივნის, 1 დამხმარე სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში, 2014-2020 წლების შავი ზღვის აუზის ქვეყნების ,, პროგრამის ფარგლებში პროექტის „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის" განხორციელებისათვის 6 პირის - 1 კოორდინატორის, 1 კოორდინატორის ასისტენტის, 1 ტექნიკური მენეჯერის , 1 PR მენეჯერის , 1 საფინანსო მენეჯერის , 1 ოფისის მენეჯერის 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით მიღების თაობაზე, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისა და 3 კომისიებში მოწვეული სპეციალისტის – ერთი წლის ვადით მიღების (ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების) შესახებ".

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერსა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

შესრულებელია: მესამე რანგის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუჭავა

შეთანხმებულია :

აპარატის უფროსი გელა თათარაშვილი

აპარატის მეორე რანგის მეორადი მაია ბერაძე

სტრუქტურულ ერთეულის ხელმძღვანელი

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძე